თავის შესახებ (აუდიტორული დასკვნა).

5. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 2006 წლის 28 მარტის 17 საათამდე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის (ქ. ბათუმი) საფინანსო სამსახურის სპეციალური ანგარიში N000142402, საქართველოს ეროვნული ბანკის ბათუმის ფილიალის კოდი 220501102, სან. კოდი 245428531, დანიშნულება სატენდერო მოსაკრებელი) გადახდის შემდეგ, შეუძლებათ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

6. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება, ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

7. დამატებითი ინფორმაცია დანატრეფილ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდგომი დაინტერესება - მანუშარ მეგრელიშვილი ქ. 7-66-40, ელ. ფოსტა e-mail:tender-batu-mi@mail.ru მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N25.

სახალხო დამცველი

ხელისუფლების მხარდამჭერი გამდიდრების გზაზე დამდბარი ადამიანია

პირველი პარაფრაზი

ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ფუნდამენტური სისტემის ცვლილება დაპირებული ტემპითა და სიღრმით არ ხდება. როგორც წინათ იყო, ახლაც, მიმდინარე პროცესებიდან ისეთ მნიშვნელოვან პროცესს, როგორიცაა სახელმწიფო ქონების კერძო მესაკუთრის ხელში გადაცემა, მოქალაქეთა უმეტესობა შეგნებულად ჩამოშორებულია. დღევანდელი ხელისუფლება სერიოზულ შეცდომას უშვებს, როცა არ ითვისისწინებს, რომ რეალურად, ხელისუფლების მხარდამჭერი - გამდიდრების გზაზე მდგარი ადამიანია, რომელსაც სტაბილურობა სურს, და არა გაღარიბების გზაზე დამდგარი ადამიანი, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს.

გაზეთ "24 საათთან" საუბარში ექსპერტი დემურ გიორხელიძე ამბობს, რომ "აუცილებელი იყო სახელმწიფო სანარმოების მცირე და დიდ პაკეტებად დაყოფა და საფონდო ბირჟაზე ღიად და გამჭვირვალედ რეალიზაცია, რაც მოქალაქეებს ამ პროცესში ჩართვის საშუალებას მისცემდა. რა უარყენია მთავრობას - ჰყავდეს 100 ათასი 200-300-დოლარიანი ინვესტორი თუ ერთი მსხვილი ინვესტორი. რადგან არჩევანი მსხვილ ინვესტორზე გაკეთდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საფონდო ბირჟის გვერდის ავლით ჩატარებული პრივატიზაციის შედეგად გაყიდული 100 ობიექტიდან ქვეყანაში 100 ახალი მესაკუთრე გაჩნდება და არა ათასი. ჩვენი მოქალაქეების

ყველაზე დიდი მოლოდინი, რომელიც სასურველია არ გაქრეს და რეალობად იქცეს, ის იყო, რომ ახალი ხელისუფლება მათ შრომის

როცა ახალი ძალა ხელისუფლებაში მოვიდა. მაშინ ხელისუფლებისა და ბიზნესრეგების ულტრათანამედროვე დევიზი იყო "ვიცხოვროთ მდიდარ სახელმწიფოში". საქართველოს მოსახლეობის 70 პროცენტის დევიზი "თავი დავაღწიოთ სიღარიბეს" - დღემდე უცვლელია.

უფლებას მისცემდა. მაშინ გამდიდრებაზე ბევრს არც კი უოცნებია. ნდობისა და მოლოდინის გაჩვეული ლიმიტი ამოიწურა. ყველაზე დიდ უკმაყოფილებას საზოგადოებაში არსებული მდგომარეობის არასათანადო შეფასება იწვევს. სიღარიბის მიღმა მყოფმა მოსახლეობამ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა, რომ სამუშაო ადგილებს მენარმე ქმნის და არა ხელისუფლება. ყველაზე მეტ გაუვებრობას კი ის იწვევს, რომ ადამიანთა უმეტესობა მენარმეში მხსნელს კი არა, ბობოლას ხედავს, რომელმაც ქონება წაართვა.

იმ ქვეყნებში, სადაც განვითარებულია საპქციო საზოგადოებები და საფონდო ბაზარი, ინვესტირების პროცესში მთელი საზოგადოება მონაწილეობს. ექსპერტი გოგი ლოლაძე ამბობს, რომ უცხოელთა თითოეული მოქალაქე შემოსავლებს მისთვის მიმზიდველი სანარმოს აქციებში აბანდებს და ამ გზით მესაკუთრე ხდება. ამ-

იტომ არავის უწინდება აზრი, რომ წარმატებული კომპანია მონსტრია, რომელიც მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობს. პირიქ-

ით, უცხოეთში მოსახლეობას აქვს იმის შეგრძნება, რომ სანარმო მისი საკუთრება და შემოსავლის წყაროა. დღეს მოსახლეობამ არ იცის, რაში დააბანდოს ფულადი

სიღარიბის მიღმა მყოფმა მოსახლეობამ ჯერ კიდევ ვერ გააცნობიერა. რომ სამუშაო ადგილებს მენარმე ქმნის და არა ხელისუფლება. ყველაზე მეტ გაუვებრობას კი ის იწვევს. რომ ადამიანთა უმეტესობა მენარმეში მხსნელს კი არა, ბობოლას ხედავს, რომელმაც ქონება წაართვა.

დანაზოგები. როგორც კი საქართველოში საპქციო საზოგადოებების პროცესში მთელი საზოგადოება მონაწილეობს. ექსპერტი გოგი ლოლაძე ამბობს, რომ უცხოელთა თითოეული მოქალაქე შემოსავლებს მისთვის მიმზიდველი სანარმოს აქციებში აბანდებს და ამ გზით მესაკუთრე, მაშინვე დაი-

წყება საზოგადოებრივი თანხმობის დამკვიდრება ბიზნესსა და ხალხს შორის. მხოლოდ ამ გზით გამოლიანდება ჩატხილი ხიდი, რომელიც საზოგადოებასა და ბიზნესს შორის არსებობს. გაურკვეველია, რა მექანიზმით უნდა მოხდეს ქვეყანაში ამ პროცესის დაწყება. სახელმწიფო ქონების გადანაწილების პირველი ეტაპი შევარდნაძის დროს დასრულდა, რომელიც ისტორიაში ნომეკლატურული პრივატიზაციის სახელით შევიდა. პრივატიზაციის პროცესში მოსახლეობისთვის ცალობით დარიგებულ ვაუჩერი ფარსი იყო და სხვა არაფერი, ობიექტების საკონტროლო პაკეტის მფლობელები რეალურად მაშინდელი თანამდებობის პირები გახდნენ. სხვათა შო-

რის, სანარმოების თანამშრომლებმაც კი ვერ შეძლეს აქციებისა და ნილების 5 პროცენტის ხელში ჩაგდება და ახლა მათი უმეტესობა ღარიბების რიგებში ირიცხება. ახალი ხელისუფლებაც აგრძელებს სახელმწიფო ქონების კერძო მესაკუთრის ხელში გა-

საქართველოს ენარბოუსაფრთხოების ბედი უოლ-სტრიტზე გადაწყდება

პირველი პარაფრაზი

ყველაფერს მიმდევრობით მიჰყვით: როგორც პრემიერ-მინისტრის აპარატიმ გახდა ცნობილი, ვიზიტის პირველ დღეს პრემიერ-მინისტრმა საქართველო-ამერიკის ბიზნესფორუმში მონაწილეობის მიღება და ამერიკელ ბიზნესმენებთან შეხვედრა მოასწრო. როგორც პრემიერი თბილისში, ჯერ კიდევ ამერიკაში გამგზავრებამდე აცხადებდა, განსაკუთრებული ყურადღება ენერგეტიკის, ტრანსპორტსა და კომუნიკაციის და საბანკო სფეროებს უნდა დათმო-ბოდა. ბიზნესფორუმის მომხსე-

ნებლებმა, რომელთა შორის როგორც საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენები, ასევე ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ, საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე რეფორმებისა და ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემოს შესახებ ისაუბრეს. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ფორუმზე, საქართველოში მიმდინარე საპრივატიზაციო პროცესთან დაკავშირებით, კონკრეტული წინადადებები იყო წარმოდგენილი.

უკვე ცნობილია, რომ საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია უახლოეს მომავალში საქართველოში 44 მილიონი დოლარის ინვესტირებას გეგმავს. საერთაშო-

რისო ფინანსური კორპორაციის აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიმართულების ხელმძღვანელმა ედვარდ ნა-სიმმა მნიშვნელოვნად შეაფასა ქართულ-ამერიკულ ბიზნესფორუმი, და აღნიშნა, რომ ფორუმზე უპრეცედენტოდ დიდი იყო ამერიკელ ბიზნესმენთა დასწრება.

ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს შორის (United States Trade and Development Agency). შეთანხმების მიხედვით სააგენტო საქართველოს ტერიტორიაზე ახალი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამ-

ცემი ხაზის მშენებლობისათვის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის ჩასატარებლად საჭირო თანხებს გამოყოფს. ასევე, გაფორმდა ხელშეკრულება კომპანია „კანარ-გოსთან“. მას საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ კი - გარდაბნის რაიონში, ბუნებრივი აირის მოპოვების უფლება მიეცა.

ვიზიტის მეორე დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა შეხვედრები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გახატია. ბირჟის პრეზიდენტთან ქეთრინ ქინსთან საუბრისას ზურაბ ნოღაიძემლა ერთგვარად შეაჯამა თავი-სი ვიზიტის შედეგები და ზუთმაბ-

ათს გამართული ბიზნესფორუმის დარბაზებზე ილაპარაკა. „შეხვედრაზე ქართული ბიზნესისათვის შეტად მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მოხერხდა. კერძოდ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის მეშვეობით განხორციელდა. ასევე, გაჩნდა შესაძლებლობა, რომ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ბირჟაზე ქართული კომპანიების აქციები ვაჭრობა დაიწყო.“ - განაცხადეს პრემიერის აპარატში. პრემიერ-მინისტრმა შეხვედრები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟასა და გაეროში გამართა.

"სტამკორი" დანაპირებს ასრულებს - "ფერო" შეუფარსხვალად გუშაოხს, "ჭიათურისგანგაუშს" კი ხელფასეიბის გასასტუმრებლად სუხსიდიეო ალარ სჭირდება

მაიუა ტაბატაძე

საპქციო საზოგადოება "ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის" ახალმა მფლობელმა კომპანია "სტემკორმა" მოკლე პერიოდში დაამტკიცა, რომ მისი მმართველი დირექტორის დევიდ ფექტორის განცხადებები ლიტონი სიტყვები არ ყოფილა.

დღეივ ფექტორმა ორი კვირის წინათ თბილისში ვიზიტისას გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მისი კომპანია მიზანმიმართულად იზრუნებს ფეროშენადნობთა ქარხანაში სანარმოო პროცესის ნორმალიზებისა და ქარხნის შემდგომი განვითარებისათვის. "სტემკორის" დელეგაციის ვიზიტის შემდეგ "ფეროში" სიტუაცია განიოზუსტა და ქარხანამ მუშაობა ჩვეულ რეჟიმში განაგრძო. შეუფერისებელი მუშაობის უზრუნველსაყოფად სანარმოში ახალმა მფლობელმა სასწრაფოდ შემოიტანა ნედლეული -კოქსის სამი პარტია უცხოეთიდან, ხოლო "ჭიათურმანგანუმიისათვის" გადარიცხული 1 მლნ 800 ათასი ლარის სანაცვლოდ სანარმოო ჭიათურიდან უკვე მიიღო სამეწარმეო პროცესის დროს "სტემკორის" მმართველმა დირექტორმა, აგრეთვე, დაადასტურა მისი კომპანიის სერიოზული დანირტერესება "ჭიათურმანგანუმიისა" და "ვარციხეშქის" პრივატიზაციის საკითხით. "სტემკორის" წარმომადგენელი ალექო ანთაძე აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან კომპანია "სტემკორის" წარმომადგენლების შეხვედრამ საკმაოდ კარგად ჩაიარა და მიღწეულ იქნა კონსენსუსი - ამჟამად "ფეროშენადნობთა" ქარხანაში ოპერატიულადანწყვეტილებებს ერთობლივ-

„საშოხლო“ კვლავ ვერ გაიყიდა



გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წინ, „სამშობლოს“ შენობაში განთავსებული მედიასაშუალებების და ოპოზიციური პარტიების აქცია შეწყდა. ეს გადაწყვეტილება აქციის მონაწილეებმა მას შემდეგ მიიღეს, რაც მათთვის ცნობილი გახდა, რომ გამოძევებულმა „სამშობლოს“ პრივატიზაცია არ შეედა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, „სამშობლოს“ გაყიდვის მიზნით, აუქციონი გუშინ უნდა გამართუ-

ლიყო, თუმცა მისი შესყიდვით არავინ დაინტერესებულა და, შესაბამისად, სამინისტროში განაცხადა არავინ წარადგინა.

„სამშობლოს“ საწყისი გასაყიდი ფასი 20 მილიონ დოლარს შეადგენდა. გამოძევებულმა „სამშობლოს“ შენობაში განთავსებული მედიასაშუალებები შენობის პრივატიზაციას აპროტესტებენ და ხელისუფლებას სთავაზობენ, შენობის შესყიდვის საშუალება მათ პირდაპირი მყიდვის წესით მიეცეთ.

ინტერპრესნიუსი

გზაზეა მოძრაოხის რაჟიმი შეიცვალა

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, დიდმოვლობის გამო, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გადართვი (ფსტა) - კობის მონაკვეთზე მისაბმელიანი, ნახევრად-მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის და 30 ადგილზე მეტი ტვივადობის ავტობუსების მოძრაობა კვლავ აკრძალულია. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა კი დასაშვებია მოცურების სანინაა-ლმდეო ჯაჭვების გამოყენებით.

ძლიერი ქარბუქისა და ნამქერის გამო ახალციხე-წინონწინდა-სომხეთის საზღვრის საავტომობილო გზის 85-110 კმ-ში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. დიდმოვლობის გამო ზუგდიდი-ჯვარი-ხაშიშ-მესტია-ლასდილის საავტომობილო გზის 170-184 კმ-ში ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია, ხოლო 140-170 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების სანინაა-ლმდეო ჯაჭვების გამოყენებით.

დიდმოვლობის გამო ქუთაისი-ალგანა-მამისონის საავტომობილო გზის 129-144 კმ-ში ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების სანინაა-ლმდეო ჯაჭვების გამოყენებით. გზის დანარჩენ მონაკვეთში მოძრაობა თავისუფალია. **ჯი-ეი-ენი**

კვლავ საკონტროლო-საღარო აპარატების შესახებ

პარლამენტის დარბარევი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის აზრით, საკონტროლო-საღარო აპარატების გამოუყენებლობისთვის გამჟავრებული საჯარიმო სანქციები უნდა გადავადდეს. როგორც გუშინ პარლანისტებს ნიკო ლეკიშვილმა პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან ფრაქციებისა და კომიტეტების თავმჯდომარეების შეხვედრამდე განუცხადა, იგი მხარს უჭერს ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ საკანონმდებლო ინიცია-

ტივას საკონტროლო-საღარო აპარატების გამოუყენებლობისთვის გამჟავრებული სანქციების გადავადების თაობაზე, თუმცა მხოლოდ ბაზრობებთან დაკავშირებით.

„ბაზრობებთან დაკავშირებით საკითხი სპეციფიურია, რადგან იგი სხვაგვარ რეგულირებას საჭიროებს. მსოფლიოზე ბევრ ქვეყანაში ბაზრობებზე საკონტროლო-საღარო აპარატები არ არსებობს. ამიტომ საქართველოში საღარო აპარატების გამოყენების ვალდებულება მხოლოდ სტაციონარულ ობიექ-

ტებს უნდა დარჩეთ, ხოლო ბაზრობებზე დანესვდო ფიქსირებული გადასახადი,“ - განაცხადა ლეკიშვილმა.

გუშინ ბიუროს სხდომაზე ფრაქცია „დემოკრატიული ფრონტის“ წევრებმა წარადგინეს საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საკონტროლო-საღარო აპარატების გამოუყენებლობის შემთხვევაში გამჟავრებული საჯარიმო სანქციების გადავადებას და ბაზრობებზე მოვაჭრე სუბიექტებისთვის ფიქსირებული გადასახდის შემოღებას ითვალისწინებს. ინტერპრესნიუსი

DEZA

DDC

DSC

SDC

COSUDE

DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT

DIRECTION DU DEVELOPPEMENT ET DE LA COOPERATION

DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION

AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACION

Swiss Agency for Development and Cooperation

SECO

SWISS REGIONAL COOPERATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS

Embassy of Switzerland

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და კუთხინტარული სამართალი".

კურსი ჩატარდება 2006 წლის 29 აპრილიდან 13 მაისამდე ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2006 წლის 21 მარტი. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

http://www.cabir.org/news.htm

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ პროექტის კოორდინატორს ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტში, ბატონ ალი არბაის ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

ფეხბურთი

არსენ ვინგარი: "ყველაფერი წინ არის"

არსენ ვინგერი არ მიიწვეს, რომ მადრიდის "რეალთან" დაპირისპირებაში ყველაფერი გარკვეულია. ლონდონის "არსენალის" მთავარი მწვრთნელი "სამედო კლუბში" ძალაზე საუბრობს. ამას გარდა, ვინგერი "რეალის" ხელმძღვანელობას აკრიტიკებს იმის გამო, რომ ის ნადირობს "არსენალის" 18 წლის ნახევარმცველ სესკ ფაბრეგასზე. ამის გამო არსენ ვინგერი "რეალის" ხელმძღვანელობას "უღირსსა" და "ქუჩის ხალხს" უწოდებს.

- "სანტიაგო ბერნაბეუზე" პირველი მატჩის შედეგს შეიძლება იდეალური ვუწოდოთ?

- თუ ვიფიქრებთ, რომ საქმე გაკეთებულია, ძალიან გავრისკავთ. არ მგონია, რომ ჩემი ფეხბურთელები ამ მატჩში გაგებან. ვერ წარმომიდგენია "რეალი, რომელიც გვეტყვის: "ჩვენ თქვენ მეთიხეფივანლში გიმეგებთ".

- რა იყო მადრიდში "არსენალის" გამარჯვების მთავარი საიდუმლო?

- ფეხბურთში წარმატებები თანადიანობითი პროგრესით და გუნდის ერთიანობით მიიღწევა. ჩვენ რომ ვერ მოგვეხერხებინა შეგვეკრა და გაგვეერთიანებინა ყველა ჩვენი ახალგაზრდა ფეხბურთელი, ეს რაღაც საშიშვლება გამოვიდოდა. ეს იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ჩვენი ადვანიხნის კატორღული შრომა წყალში ჩაიყარა.

- მადრიდში ყველა საუბრობს ფაბრეგასის მიმართ ინტერესზე.

- უსაძაროლოა, როცა ასეთი საბასუხისმგებლო თამაშის წინ გუნდი საოპრი საინფორმაციო სამუშაოებში ჩნდება და აკეთებს განცხადებას ფაბრეგასისადმი ინტერესის შესახებ. ეს დიდი უზრდელობაა. მეჩვენება, რომ ეს ქუჩურ ქცევას ჰგავს. ეს იგივეა, რაც ახლა რომ ვთქვა, ბექუმის შეძენას ვაპირებ-მეთქი.

მოგზაურობი

ბიორნ ბორგი ტიტულაჲს ეთხოვება

"როლან გაროსის" ექვსი და "უიმბლდონის" ხუთგზის გამარჯვებულმა ანუ დიდი სლემის ტურნირების 11-გზის ტრიუმფატორმა, ჩოგბურთის ლეგენდამ, 49 წლის შედმა ბიორნ ბორგმა მისთვის მეტად მტკივნეული გადაწყვეტილება მიიღო - 1976 და 1980 წლებში პრესტიჟულ ტურნირებზე მოპოვებულ ხუთ დიდ ჯილდოს გამოეთხოვოს.

ბიზა ბარსაპვილი

საოგბურთო კაბადონზე 15 წლის ასაკში გაბრწყინებულმა, მალევე სახელოვან ჩოგბურთელთა მარაგში გაერულმა და დროთა განმავლობაში ტიტულოვან მეტოქეთა შემწუსრელმა ბიორნ ბორგმა საკუთარ სპორტულ კარიერას ჩოგბურთისთვის არცთუ კრიტიკულ ასაკში - 26 წლისამ დაუსვა ნერტილი. შედმა ჩოგბურთელმა 70 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და თითქმის უზრუნველადაც უნდა ეცხოვრა, მაგრამ ცოლთან ორჯერ განქორწინებამ ბიორნ ბორგი გააკოტრა.

"ადილი არ არის შეუძლი ამ ჯილდოებს, მაგრამ იძულებული ვარ ეს ნაზივი გადავდე, რათა ჩემი ახლობლების ცხოვრება უზრუნველყვი", - ამბობს ბორგი.

მისივე თქმით, "დადგა დრო, როდესაც ჯილდოები რომელიმე კოლექციონერის ან შესაბამისი დანესტებულების ხელში უნდა გადავიდეს".

მიუხედავად იმისა, რომ მისი გამარჯვებების სიმბოლოები იყიდება, როგორც ამას თავადვე აცხადებს, ის ყოველთვის გაათეთიფიზიერებს იმას, რომ დიდი ხნის განმავლობაში იყო მსოფლიოს უდიდესი ჩოგბურთელი.

"უიმბლდონზე" გამარჯვების აღსანიშნავად ბორგისთვის გადაცემულ ხუთ ბროლის ჯილდოსთან ერთად ლეგენდარული შედი აუქციონზე გასაყი-

- დელატი იმის გამო, რომ სესკის მიმართ ასეთი ზეწოლა ხორციელდება?

- საერთოდ, გასული კვირის ბოლოს "კანონირებში" "ფულუმში" - 40მ დაამარცხეს. მინდოდა ამ მატჩში ფაბრეგასი დამესვენებინა, რადგან მან ნაკრების შემადგენლობაშიც ითამაშა, მაგრამ მისმა თამაშმა ძალიან გამახარა. ის უაღრესად ფინანია. მე სესკით კმაყოფილი ვარ და ვიცი, რომ ის ძლიერი ფეხბურთელია.

- სხვათა შორის, ბექუმში პირველად ითამაშებს ინგლისში მას შემდეგ, რაც "მანჩესტერი" მიატოვა...

- ვფიქრობ, რომ მას ჯეროვნად არ აფასებენ. ინგლისში საქმიად ხშირად აკრიტიკებენ საკუთარ ფეხბურთელებს. ბექუმში ცოტათი მიშელ პლატინის მაგონებს. გულშემატკივარი მის მიმართ ძალიან მკაცრი იყო, ხოლო როცა მან კარიერა დაასრულა, ყველა მყისვე აღაპარადა, რომ ის გენიოსი იყო. სწორედ ასეთი საფასური უნდა გადაიხადო მაშინ, როცა გუნდის კაპიტანი ხარ.

- ბექუმში ამჟამად თავის საუკეთესო მამაშს აჩვენებს?

- მან "გერნატეზე" არაერთი თავსატეხი გავიჩინა. ის ჭკვიანურად ითამაშობს და ყველას აიძულებს უკეთესად ითამაშონ. მისი გადაცემები მაქსიმალურ დაფასებას მოითხოვს. ოთხნახაის ჩვენ მას ასების დარტყმის საშუალება არ უნდა მიეცეთ.

- ანრი ყოველთვის გამოდის ავანსცენაზე მაშინ, როცა გუნდისთვის აუცილებელია.

- "რეალის" და "ფულუმის" წინააღმდეგ მან ფანტასტიკურად ითამაშა. ტიკირი ძალიან კარგად შეითვისა გუნდის პრობლემები და, როგორც გუნდის ახალი კაპიტანი, ის განიცდის ამ პრობლემებს. ამან რაღაც მომენტში დათვური სამსახური გაუწია, რადგან ის ცდილობდა ყველას დახმარებოდა და საკუთარი თამაში დაიწყო.

მიხილ აბიოვილი

ქართული რაგბის ავტორიტეტი მსოფლიო სარაგბო სამყაროში დღითი დღე იზრდება. თუ ადრე ჩვენს მორაგბეებს უმნიშვნელო, დაბალი კატეგორიის ტურნირებში მიხედვრაც კი წარმატებად მიანდათ, დღეს მონაგვებს ვერ აუღიან და ასარჩევად აქვთ საქმე, თან, ეს ეხება არა მხოლოდ საქართველოს მთავარ გუნდს - ეროვნულ ნაკრებს, არამედ ასაკობრივ ნაკრებ გუნდებსაც კი. როდესაც შენი ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებს გუნდს ევროპაში ამოარჩევენ, თვით იტალიაზე (რომელიც, მოგესვენებათ, 6 ერის პირველობაზეც კი ასპარეზობს) წინ დადგებიან და რაგბის სამშობლოსა და მექაში - ინგლისში ტურნირზე მიიწვევენ, ეს ალბა რებაზე მეტს ნიშნავს.

ღიახ, ჩვენი ქვეყნის 17 წლამდელთა ნაკრები დიდ ბრიტანეთში 11 აპრილს გაემგზავრება და სარაგბო ფესტივალის ეგიდით სამ საერთაშორისო თამაშს გამართავს. ამ ასაკში ნაკრები გუნდი არ გვეყოლია, შესაბამისად, სასეულეციო სამუშაოები სულ ცოტახნის წინ ჩატარდა მთელი საქართველოს მასშტაბით და 26 ნორჩი მორაგბე შეიკრა. ამ გუნდს უთავიკცებს სარაგბო კლუბ "ჯიკის" მწვრთნელი დავით გოცაძე. მას მეორე მწვრთნელის სტატუსით დაეხმარება დავით გორდელაძე.

მოახლოებულ ტურნირთან დაკავშირებით "24 საათის" შეკითხვებს პასუხობს დავით გოცაძე.

- რამდენად წარმომადგენლობითი ეს ტურნირი?

- ეს არის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც 11-დან 19 აბრილის ჩათვლით დიდი ბრიტანეთის ქალაქი ლინფილდი უმასპინძლებს. თუ რამდენად წარმომადგენლობითია, მონაწილეთა დასახელებაც საკმარისია. ბრიტანეთის ყველა ქვეყნის ნაკრები, საფრანგეთი, კანადა, რუმინეთი და საქართველო. ინგლისი ტურნირზე ორი ნაკრებით იქნება წარმოდგენილი და ჩვენს ქვეყნულში ინგლისის პირობითად მეორე ნაკრებია. ასევე

ბიზი თოდაა

უკვე მე-14 წელია სამთოსათხილამურო სპორტში ტარდება სუხიას (სულხან სულხანიშვილის) სახელობის ტურნირი. 14 წლის წინ პირველად და მომდევნო 10 წელი ტურნირი გულაურომ ტარდებოდა, ორი წლის წინ პირველად ტურნირი ბაკურიანში ჩატარდა და მას შემდეგ ტრადიციად იქცა: "სუხია" ბაკურიანსა და გულაუროში მონაცვლობით ჩატარდეს. მისი ორგანიზატორია სუხიას მეგობარი დათო ნათაძე. დასაწყისში შეჯიბრება საკუთარი სახსრებით და მეგობრების დახმარებით კეთდებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ ამგვარი ენთუზიაზმით წამოწეული შეჯიბრება დიდხანს ვერ იარსებებდა და მალე ისევე მიეცემოდა და დაეწყებოდა, როგორც სხვა არაერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ღონისძიება. მაგრამ ისევე მეგობრების, მათი სიყვარულისა და დიდი სურვილის წყალობით ტურნირი ყოველწლიურად უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება. იზრდება სპონსორების რიცხვი, მატულობს პრიზების რაოდენობა და, რაც მთავარია, უკვე მესამე წელია, რაც "სუხია" აღარ არის მხოლო-

რაბბი

დირსაზის საქმა

ბიზნესმენებო, გვერდში დაუდევით ქართულ რაგბის!



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები გუნდი ინგლისის საერთაშორისო ტურნირზე ითამაშებს.

გაგუფში არიან შოტლანდიის და რუმინეთის ნაკრებები. სამივე ამ გუნდთან მოგვიწევს შეხვედრა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სარაგბო ელიტამ საქართველო ამ ტურნირში მონაწილეობის ღირსად ჩათვალა და მიგვინიშნა. ტურნირი მხოლოდ სპორტული თვალსაზრისით არ არის საინტერესო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შეჯიბრების მსვლელობის პარალელურად გაიმართება სემინარები მწვრთნელებისთვის, ექიმებისთვის, რაც სამწვრთნელო მუშაობისთვის ძალზე სასარგებლო იქნება. სემინარებს სარაგბო საქმის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები წარუძღვებიან, რაც ჩვენ დიდ სამსახურს გავკეთებს.

- ჩვენი ეროვნული გუნდი რომ ევროპული მასშტაბით ანგარიშგანაწევრდება, რამდენად, ეს ყვე-

მონაწილეები 12-გუნდთან სამ ქვეყნულად დივი და ჩვენს ჯგუფში 6 თამაშთან 5-ის მოგებით და ერთი ფრთი ნაკრები 17 წლამდელთა გუნდში არ გვეყოლია. ცოტა მოულოდნელი ხომ არ არის, რომ ინგლისელები მაინც დანტერესდნენ, ტურნირში მონაწილეობა მიეღო ამ ასაკის საქართველოს ნაკრებს?

- მართალია, ეს ტურნირი პირველია, რომელშიც ახლდ შექმნილი 17 წლამდელთა ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ეს ამ გუნდის პირველი ტურნირია ნაკრების ეგიდით, მაგრამ ეს მონევა ნამდვილად არ არის შემთხვევითი. შარშან ამ გუნდმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში გამართულ მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატში 16 წლამდელ მოზარდთა შორის და დიდ წარმატებას მიაღწია. საფრანგეთში 22 ქვეყნის 36-მა გუნდმა ითამაშა. ტურნირის

ტურნირის შედეგები გაითვალისწინეს, როცა დაგვატყვეს.

- გამოდის, რომ საქმაო საერთაშორისო გამოცდილების მქონე გუნდით მიემგზავრებით.

- მთლად ასე არ არის. მოხდა, ერთი მხრივ, სასიამოვნო, მეორე მხრივ კი, სამწუხარო ამბავი. იმ დროს, როცა ლინფილდის ტურნირი ეწყობა, ევროპის ჩემპიონატიც იმართება 18 წლამდე ასაკის მორაგბეთა შორის. 18 წლამდე ნაკრებში ჩვენი გუნდის თორმეტი მორაგბეა მინეველი, რის გამოც, პრაქტიკულად, ახალი გუნდის ჩამოყალიბება მოგვიხდა. მთელი საქართველოს მასშტაბით ჩავატარეთ სასეულეციო სამუშაოები. 72 ნორჩი მორაგბე გამოცდავით და შევარჩიეთ 26 სპორტსმენი, რომლებსაც ინგლისში წავიყვანთ.

- ტურნირამდე ცოტა დროა დარჩენილი. საწერინელ შეკრებას ან ტიტებს ხომ არ გეგმათ?

- ეს ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული. საწერინელი შეკრები-სა და ორი ტესტმატჩის ჩასატარებლად საფრანგეთში ვართ მინეველები, მაგრამ ჯერ ფინანსურად მთლიანად უზრუნველყოფილი არ ვართ. ამისთვის ინგლისში გასამგზავრებელ თანხასთან ერთად, დამატებით, 6 ათასი დოლარია საჭირო. რაგბის განვითარებისთვის წყალობით ვერ მხოლოდ 2 ათასი დოლარი გვაქვს. არადა, ეს შეკრება, ტესტებთან ერთად, ჩვენს 17 წლამდელთა მართლაც პირველი სტირებაა. მიუხედავად იმისა, რომ ახალი გუნდია, ლინფილდში სტატისტიკად წასვლას ნამდვილად არ ვაპირებთ და ყველა თამაშის მოგებას ვგეგმავთ. ამ განცხადების საფუძველს მაისელის მანის გვექნებოდა. მაგალითად, გუნდთან, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა, მეორე ჯგუფურ ეტაპზე ფრედ ვითამაშეთ. ქვეყნის შორის კი მესამე ადგილი დავიკავეთ - მხოლოდ საფრანგეთმა და სამხრეთ აფრიკის მთელი საფრანგეთში გამართულ მსოფლიო საკლუბო ჩემპიონატში 16 წლამდელ მოზარდთა შორის და დიდ წარმატებას მიაღწია. საფრანგეთში 22 ქვეყნის 36-მა გუნდმა ითამაშა. ტურნირის

სათხილამურო სპორტი

„სუხია 2006“ ბაკურიანში



ოდ მოყვარულთა ტურნირი. უკვე სამი წელია, მან სპორტული ასპარეზობის სტატუსი შეიძინა - ტურნირში სპორტსმენებიც იღებენ მონაწილეობას. გაიზარდა მედიის ინტერესიც. წელს უკვე ერთ ტელეკომპანიას რამდენიმე ჟურნალისტი და ოპერატორი პყავდა წარგზავნილი შეჯიბრების საბოლოო შედეგების დასაფიქსირებლად, ესწრებოდნენ წარმომადგენლები თითქმის ყველა ბექდური მედიიდან და იყო უამრავი ადამიანი, რომელიც თავის ახლობელს, ნაცნობს, მწვრთნელს თუ, უბრალოდ, ფავორიტს გულშემატკივრობდა. ერთი სიტყვით, ტურნირი უკვე ჩამოყალიბდა სერიოზულ სამთოსათხილამურო ასპარეზობად, რომელშიც მონაწილეობა პრესტიჟულია სპორტულ სამყაროში და განსაკუთრებით პრესტიჟულია გამარჯვება. ყოფილი სპორტსმენები და მოყვარულები "სუხიამდე" რამდენიმე ხნით ად-

რე იწყებენ აქტიურ მომზადებას იმისთვის, რომ ტურნირზე ღირსეული შედეგი აჩვენონ.

თუ მესაძლებელია, რომ სიკვდილი შემდეგ ვიცოცხლოთ, ამას ალბათ ყველაზე კარგად ჩვენი მეგობრები შეძლებენ. ამის მაგალითი სუხიას მეგობრები და ტურნირი "სუხიაა". 1992 წელს აფხაზეთის ომში დაღუპული სულხან სულხანიშვილის სახელობის ტურნირი დღეს უკვე აღარ არის მხოლოდ მეგობრებისთვის ჩატარებული სპორტული ღონისძიება, რომელსაც მხოლოდ თვითონ ელიან და თვითონ მონაწილეობენ. უკანასკნელი წლების განმავლობაში "სუხიას" ელის ყველა, ვისაც უყვარს მთა, უყვარს თოვლი და თხილამურები და უნდა ტურნირში სპორტულ სამყაროში და განსაკუთრებით პრესტიჟულია გამარჯვება. მას კიდევ უფრო სპორტსმენები და მოყვარულები "სუხიამდე" რამდენიმე ხნით ად-

შემოთავაზება უსწრებს დროს!

უპროცენტო 3 წლიანი განვადება

ქალაქის ნაბისმიერ უბანში

ტელ.: 23 25 36
25 30 80
25 32 16
91 25 07



საქართველოს მე-3 საერთაშორისო

ჯანდაცვის გამოფენა



9-11 მარტი
თბილისი, საქართველო
სპორტის სასახლე

ორგანიზატორები:



Tel.: +44 (0) 207 596 5091
Fax: +44 (0) 207 594 5111
E-mail: Rukhsara.Mamedsalakhova@ite-exhibitions.com



Tel.: +905 32 25 37 80; Fax: +905 32 25 08 47
E-mail: healthcare@teica.ge

მესველე უფასო

www.gihe.ge

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები უკიდურესად დაიძაბა

მოსკოვი და თბილისი სამხრეთ ოსეთის, ვიზეტისა და გაზსადენის საკითხებთან დაკავშირებით „სიტყვების ომში“ ერთვებიან.

მიხეილ შიგანასკი, თბილისი

გასულ თვეში მოსკოვსა და თბილისის შორის მწვავე დაპირისპირებათა სერიის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები შედარებით წყნარ ფაზაში შევიდა. ბოლო ათი წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის დაპირისპირების ყველაზე სერიოზული მიზეზი ორი არაღიარებული ტერიტორიის – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ რუსეთის მხარდაჭერაა. 15 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობო ძალების შეცვლა მოითხოვა, რამაც მდგომარეობა უკიდურესად დაძაბა. ორივე მხარე განსაკუთრებით მწვავე კონფენტარები გაავეთა. „რუსეთი ჩვენ წინააღმდეგ არაოფიციალურ ომს ეფექტურად აწარმოებს. თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით რუსები საქართველოში სამხედრო ოპერაციებს სიამოვნებით დაიწყებდნენ – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის უმეტესობას რუსული პარასირტები აქვს“, – განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავადაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი თარგამაძემ ჟურალისტებთან საუბარისას.

თარგამაძის თქმით, თუ სამშვიდობოები საქართველოს ტერიტორიის დატოვების შესახებ მოთხოვნას არ დაემორჩილებიან, თბილისმა ისინი სამხედრო „ოკუპან-

ტებად“ უნდა გამოაცხადოს და მათი ქვეყნიდან გაყვანა დაიწყოს. „ჩვენ საამისოდ ძალა შეგვევს“, – დასძინა თარგამაძემ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, საქართველოს ამ საკითხისადმი დამოკიდებულება „ყოველგვარ ზღვარს სცილდება“, საქართველოს ხელისუფლება „ყველაფერში რუსეთის დადანაშაულებას“ ცდილობს, რადგან მას სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასთან პირდაპირი დიალოგის გამართვა არ ძალუძს. გასულ კვირას რუსეთის ხელი-სუფლებამ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტი გადადო და საქართველოს მოქალაქეებზე ვიზეტის დაცემა შეწყვიტა. საპასუხოოდ, თბილისმა საქართველოში მომსახურე რუს ჯარისკაცებს ვიზეტი აღარ მისცა. „ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ამჟამად უკიდურესად დაძაბულია და კიდევ უფრო უარესდება“, – განაცხადა IWPR-თან საუბრისას რუსეთის ელჩმა საქართველოში ლადიმერ ჩიკვიშვილმა. საქართველომაც დიდი ხნის დაგვიანებით გასცა ვიზეტი რუს სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც რუსეთის სამხედრო ბაზაზე მსახურობენ. „ამჟამად ამიერკავკასიელი რუსეთის ჯარის მხოლოდ 55 ოფიცერს აქვს საქართველოს ვიზა, დანარჩენები კი, ფაქტობრივად, უკანონოდ მსახურობენ“, – განაცხადა IWPR-თან საუბრისას რუსეთის ჯარის ერთერთმა მოსამსახურემ.

მაგრამ ამ მხრივ დაძაბულობა უკვე განიმუხტა, რადგან ვიზეტის დაცემა ორივე მხარემ განაახლა. მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვი გაზსადენის განგებ აფეთქებაში დააბნა-მაულა, ორ ქვეყანას შორის ახალი ცივი ომი დაიწყო. კონკრეტული ნაბიჯების გადადგმის ნაცვლად ორივე მხარე ყურადღებას იმაზე ამახვილებდა, „თუ ვინ იყო დამნაშავე“. მიმდინარე მოვლენებთან და მათ შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით პოლიტიკური მიმომხილველების მოსაზრებები განსაზავდება. ბევრი ამბობს, რომ საქართველოს ნატო-ში შესვლის ამბიცი აქვს, იმპეროული რუსეთი კი ამას ვერ ეგუება და სჯის. სხეუბის აზრით კი, ამგვარი ახსნა მეტისმეტად მარტვიია. საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მოვლენების ასეთ ანალიზს არ ეთანხმება. მისი აზრით, მთავარი პრობლემა ლიდერებს შორის კომუნიკაციის არარსებობაა. „არ მგონია, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, რომელსაც კარგად ვიცნობ, გაზსადენის აფეთქების შესახებ ბრძანება გაეცა. ამ გაზსადენის საშუალებით გაზს არა მარტო საქართველო, არამედ სომხეთიც იღებს, რომელსაც რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს. არ უნდა გამოირიცხოთ იმის შესაძლებლობა, რომ გაზსადენისა და ელექტროენერგიის გადამცემი ხაზის აფეთქება უცნობი ჯგუფის მიერ არის ჩადენილი, რომელსაც არც რუსეთისთვის და არც საქართველოსთვის კარგი არ უნდა“, – განაცხადა IWPR-თან საუბრისას.

„მიხეილ სააკაშვილი და ვლადიმირ პუტინი ერთმანეთს უნდა შეხედნენ და შექმნილი მდგომარეობის შესახებ ისაუბრონ. თუ ორივე მხარეს გულწრფელი სურვილი ექნება, პოლიტიკაში ყველაფერი შეაძლებელია“, – დასძინა შევარდნაძემ. საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა კოტე კეშელარიამ IWPR-ს განუცხადა, რომ თბილისი „მოსკოვთან სხვადასხვა დონეზე კონსულტაციების გასამართად მზად არის. ჩვენ რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესება გვინდა და გვევრა, რომ ამის მიხედვად გადაულახავი დაბრკოლებები არ არსებობს“. ორ ქვეყანას შორის დიდი დაძაბულობის გამოწვევი მიზეზი ახლა სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობაა. პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საჯაროდ მიანიშნა, რომ თუ გაერო-ს ეგიდით მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად კოსოვოს დამოუკიდებლობას მიანიჭებენ, რუსეთმა შესაძლოა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. სადავო ტერიტორიასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ამაჟამდ შეჩერებულია. ძერეული საკონტროლო კომისიის ოთხმხრივი შეხვედრა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ინიციატივით 20-21 თებერვლს ენაში უნდა გამართულიყო. თუმცა ბოლოს მოლაპარაკებები ქართული მხარისა და ეუთო-ს წარმომადგენელთა დაუსწრესლად მოსკოვში გამოძრა.

15 თებერვალს საქართველოს პარლამენტში სამხრეთ ოსეთში ახალი საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩაყენების მოთხო-

ვით გამოვიდა, რითაც მოსკოვს ლიად დაუპირისპირდა. მას შემდეგ, რაც 1992 წელს კონფლიქტი 2 ათასი ადამიანის დაღუპვით დასრულდა, აღნიშნულ ტერიტორიაზე რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ქართული ბატალიონების შერეული კონტინგენტი მსახურობს. ქართველ ექსპერტთა მტკიცებით, თბილისს აღნიშნული სამშვიდობო ფორმატის შექმნის შესახებ 1992 წლის დავომისის შეთანხმებიდან გამოსვლა შეუძლია, რადგან ის არც რუსეთის პარლამენტის მიერ არის რატიფიცირებული და არც საქართველოს პარლამენტის მიერ. საქართველოს ხელისუფლება ასევე აცხადებს, რომ რუსი სამშვიდობოები სამხრეთ ოსეთს სამხედრო წვრთნების გაძირთვისა და „სტრელას“ ტიპის მობილური საზენიტო სისტემების შეძენაში აქტიურად ეხმარებიან. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა და შელმაძე ადრე პირობა დადო, რომ 2007 წელს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში აღნიშნავდა, განაცხადა – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის „ნაშოში უკვე ჩართულია“. ამ განცხადებამ მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციას რუსეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, „ქართველი კანონმდებლების გადაწყვეტილება იმაზე მოითხოვს, რომ საქართველო შეიძლება მთელ რეგიონში დესტაბილიზაციის შექმნის გზას დაადგს“.



მიტინგი რუსეთის საელჩოსთან

საქართველოში ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმა რეზოლუცია გააკრიტიკა, რადგან მასში რუსი სამშვიდობოების გეცვლის ვადები არ არის მითითებული. მაშინ, როცა ბევრს სამხრეთ ოსეთში დესტაბილიზაციის საფრთხე ამინებს, საქართველომ მოსკოვს 18 თებერვალს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო წვრთნების დროს მისი საპაერო სივრცის დარღვევები დასდო ბრალი. ქართული მხა-

რის განცხადებით, რუსულმა თვითმფრინავმა და ვერტმფრენ-მა საქართველოს საჰაერო სივრცე ორჯერ გადაკვეთა. თუმცა მოსკოვმა ეს ბრალდებები უარყო. ქართველების პასუხი უფრო თეატრალიზებული იყო – დემონსტრაციებზე, საქართველომ მოსკოვს 18 თებერვალს ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე სამხედრო წვრთნების დროს მისი საჰაერო სივრცის დარღვევები დასდო ბრალი. ქართული მხა-

www.iwpr.net

აფხაზეთის ლიდარი დამოუკიდებლობას დაჟინებით ითხოვს

კოსოვოს სტატუსთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებები და რუსეთის მხარდაჭერა დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ აფხაზეთის მოთხოვნებს კიდევ უფრო აძლიერებს.

თორგას და ვაალი, სოხუმი

„კოსოვოს შესაძლო საერთაშორისო აღიარების პრეცედენტი აფხაზეთის მხრიდან დამოუკიდებლობის მოთხოვნას კიდევ უფრო აძლიერებს“, – განაცხადა აფხაზეთის ლიდერმა IWPR-თან ინტერვიუმში. აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის მტკიცებით, ისტორიული თვალსაზრისით მის რესპუბლიკას კოსოვოსთან შედარებით სრულ დამოუკიდებლობაზე მეტი პრეტენზია აქვს. მოლაპარაკებები კოსოვოს სტატუსის შესახებ, რომელიც ამჟამად გაერო-ს ეგიდით მიმდინარებს, გასულ თვეში დაიწყო. მიმომხილველების აზრით, საბოლოოდ მოლაპარაკებები კოსოვოსთვის დამოუკიდებლობის მიჩნეებით დასრულდება. „თუ კოსოვოს საკითხი გადაწყდა და აფხაზეთის – არა, მაშინ ეს ამკარავდ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა იქნება“, – განაცხადა ბაგაფშმა. თავისი საპრეზიდენტო კაბინეტში IWPR-თან საუბრისას, ბაგაფშმა განაცხადა, რომ აფხაზეთის საქართველოს წინაშე მხოლოდ სამქოთა პერიოდში განხორციელებული მანიპულაციების შედეგად გახდა. 1931 წლამდე მას უფრო მაღალი სტატუსი ჰქონდა. „კოსოვოს სახელმწიფოებრიობა არასდროს ჰქონია. ჩვენ კი სახელმწიფო გვექნა – ისეთივე სამქოთა იყო თუშულიკა, როგორც საქართველო იყო. თუ მხოლოდ საზოგადოებრიობისათვის აფხაზეთის საქართველოს წინაშეა დადგენილი შესახებ სტანდარტი და ბერძნის გადაწყვეტილება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთში მცხოვრები ხალხის მისწრაფება, მაშინ მინდა მიველოცო მათ“, – დასძინა ბაგაფშმა. შეკითხვაზე, თუ რა გავლენას იქონიებს დამოუკიდებლობის სტატუსის შესახებ მოლაპარაკებები 1991-93 წლების კონფლიქტის შედეგად იძულებით გადაადგილებულ ქართველებზე, ბაგაფში პასუხობს, რომ რესპუბლიკისთვის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მათი დამურუნება შესაძლებელი იქნება. მისი განცხადებით, ამ მხრივ აფხაზეთში კოსოვოსთან შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან ათობით ათას ქართველს გალის ოკონომი დაბრუნების უფლება მისცეს. კონსენსუსის მიღწევის განსაკუთრებული უნარიან დაჯილდოებული ბაგაფში არალიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტი 2004 წლის ბოლოს მწვავე დაპირისპირების ფონზე ჩატარებული არჩევნების შემდეგ გახდა.ამ თანამდებობის დაკავებიდან ზუსტად ერთ წელიწადში იგი დამაჯერებლად საუბრობს აფხაზეთში შიდა პოლიტიკური დაპირისპირების შესუსტებაზე და მოსკოვთან არსებული ურთიუფობის მიუხედავად, რუსეთის ხელისუფლებასთან კარგი სამუშაო ურთიერთობის დამყარე-

ბაში მიღწეულ წარმატებებზე. აფხაზეთის პოზიიცია კიდევ უფრო გაამყარა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა, რომელმაც კოსოვოს საკითხი საქართველოში არაღიარებულ ტერიტორიებასა და სამხრეთ ოსეთს პირდაპირ დაუკავშირა. „თუ ვინმეს სჯერა, რომ კოსოვოდ, როგორც სახელმწიფოდ, სრული დამოუკიდებლობა უნდა მიიღოს, მაშინ რატომ არ უნდა მივცეთ ამის უფლება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას? ახლა არ ეს უსაუბრობს იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს რუსეთი“, – განაცხადა პუტინმა 31 იანვრის გამართულ პრესკონფერენციაზე. „თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ მაგალითად, თურქეთმა ჩრდილოეთ კეიპროსის რესპუბლიკა აღიარა. არ მინდა ვთქვა, რომ რუსეთი აფხაზეთს ან სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებლ, სუვერენულ სახელმწიფოებად დაუყოვნებლივ აღიარებს, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკაში ასეთი ფაქტები უკვე არსებობს“, – განაცხადა პუტინმა. როგორც ჩანს, პუტინის ნათქვამი მხოლოდ სიტყვებად არ დარჩენილა. იმავე დღეს ნიუ იორკში გაერო-ს ახალი რეზოლუციის შემუშავებისას რუსეთმა მკაცრი პოზიცია დიკავა. ნიუ იორკში გაერო-ს უშიშროების საბჭომ ქართველ-აფხაზეური კონფლიქტის ზონაში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის (UNOMIG) მანდატის გაგრძელების შესახებ მხოლოდ ტექნიკური რეზოლუციის მიხედვით მოახერხა. გაეროცვლებული ინფორმაციით, რუსეთმა ტექსტში ე.წ. ბოძენის დოკუმენტის მოხსენიებაზე უარი განაცხადა. ეს ჩარჩო დოკუმენტი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებს, ტრასტ აფხაზეური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება. შედეგად, გაეროს დამკვირვებელთა მისიის მანდატი მხოლოდ ორი თვით, 31 მარტამდე გაგრძელდა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებზე მომუშავე გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის (გერმანია, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთი და აშშ) ეგიდით ყენევას და ბერლინში გამართულმა შეხვედრებმა ამ საკითხთან დაკავშირებით მოსკოვისა და დასავლეთის ოთხი ქვეყანის პოზიციები კარკვეულწილად დაახლოვა. მოლაპარაკებების პროცესში კარგად გათვითცნობიერებულმა წყარომ IWPR-ს განუცხადა, რომ ახლა რუსეთი ეთანხმება ტექსტში ცალსახა ფორმულირებას, რომელიც საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას გულისხმობს. დასავლეთის ქვეყნები კი მზად არიან, მხარი დაუჭიროონ რუსეთის აფხაზეთში დსთის სამშვიდობო ძალების ყოფნის საკითხში. თუმცა ამჟამად რუსეთისა და დასავლეთის ოთხ ქვეყანას შორის აფხაზეთის საკითხზე

აზრთა აშკარა სხვადასხვაობა არსებობს. მიმდინარე თვის ბოლოს ახალი რეზოლუციის შემუშავების მიზნით გაერო-ში კიდევ ერთი შეხვედრა გაიმართება. ბევრი ქართველი პოლიტიკოსი აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას მოითხოვს. „სამშვიდობო ოპერაცია საკუთარ მანდატს არღვევს და მშვიდობის დაცვის პრინციპთან წინააღმდეგობაში მოდის, რადგან როგორც რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებმა არაერთხელ განაცხადეს, რუსეთის ჯარი აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეების ინტერესებს იცავს. ასე რომ, სამშვიდობო ოპერაცია სამშვიდობო ფუნქციას კარგავს“, – განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გიორგი ხანდინაძემ IWPR-თან საუბრისას. ხანდინაძეას განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებმა აფხაზეთთან დაკავშირებით ახალ სამშვიდობო გეგმაზე მუშაობის, რომელიც აფხაზეთისთვის კოსოვოს მდელზე „უფრო მიმზიდველი“ იქნება. თუმცა, სამშვიდობოებისა და გაერო-ს დამკვირვებლების მანდატები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ვერცელებულ მოსაზრებით, საქართველოს ხელები შეზღუდული აქვს. თუ ერთი ოპტინენტები იძულებული გახდება, კონფლიქტის ზონა დატოვოს, მეორესაც იმავეს გაკეთება მოუწევს. აფხაზეთის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა IWPR-თან საუბრისას განაცხადა, რომ თუ საქართველო აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის საკითხში წარმატებას მიაღწევს, ამით მოგების ნაცვლად, კიდევ უფრო მეტს დადარგავს. „მხირად მეკითხებიან, როგორ მოვიქცევი სამშვიდობოების გასვლის შემთხვევაში. ძალიან მშვიდობიან თუ სამშვიდობოები გავლენ, მათ ადგილს ჩვენ დავიკავებთ. გაგვიჭირდება, მაგრამ საზღვარზე მათ ადგილს ჩაივლებით. და თუ ასე მოვიქცევით, ეს საქართველოსთან კონფლიქტისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება“, – განაცხადა მან. პარზობს ევროკავშირის უშიშროების საკითხთა კვლევების ინსტიტუტის ექსპერტის დოუ ლინჩის განცხადებით, ჯერჯერობით, აფხაზეთში გაულაგებლობა სამშვიდობო ძალების აღტერნატივა არ არსებობს. „პრაქტიკულად, ეს არასრულფასოვანი კომპრომისია – პრობლემების მუდმივი დროებითი გადაწყვეტა“, – დასძინა მან.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ინსტიტუტი და მშვიდობის გამაძლიებელი ინსტიტუტი

ომისა და მშვიდობის გამწეების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) ეთავაზობა უჩაქალერ შესაძლებლობას გაცეით. კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე ადგილობრივი მიმომხილველი თვალსაზრისით. სამასწავრო ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგულარულ შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ომისა და გამწეების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთარობის, ევროკავშირისა და ფრეთის მთარობის მხარდაჭერით. კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწვრად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

მუდმივი შიში

სამხრეთ ოსეთის არაღიარებული რესპუბლიკის მოსახლეობა საქართველოსთან ახალი კონფლიქტის მოლოდინში ცხოვრობს.

ირინა კელხსაპა, ცხინვალში

ცხინვალის მოსახლეობის უმეტესობის მსგავსად, მარინა პარასტევა (სახელი და გვარი შეცვლილია) თბილისის გარეუბანში მდებარე ბოლოს ბაზრობაზე რეგულარულად დადის. მეკრევის მცირე შემოსალებით მას იქ საკონოს ხელმისაწვდომ ფასებში შეძენა შეუძლია. 19 თებერვალს, როცა პარასტევა ლილოს ბაზრობიდან შინ ბრუნდებოდა, საქართველოსა და რუსეთის სამშვიდობო ძალების შორის მომხდარი დაპირისპირების ეპიცენტრში აღმოჩნდა. იმ დღეს ცხინვალის მიმართულებით მიმავალი ყველა გზა ორივე მხრივ გადაკეცა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რუსეთისა და ოსეთის სამშვიდობო ძალებმა კონფლიქტის ზონაში ქართველი სამშვიდობოების ახალი ჯგუფი არ შეუშვეს. მათი განცხადებით, ქართულ მხარეს ბატალიონის რტაციის შესახებ გადაწყვეტილება შერეული სამშვიდობო ძალებთან არ ჰქონდა შეთანხმებული. სკანდალი მხოლოდ მომდევნო დღეს ჩაქცრა. კონფლიქტის ზონაში შესასვლელ ბლოკ-საღებმაგოვთან გაჩერებული სამეზავრო ავტობუსების მეზავრებს იქ რამდენიმე საათის გატარება მოუხდნდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მსგავსი ინციდენტი მიმდინარე წლის განმავლობაში უკვე რამდენჯერმე მოხდა. ცხინვალის მოსახლეობა შიშობს, რომ ისინი შესაძლოა, კვლავ ალყაში აღმოჩნდნენ. სამხრეთ ოსეთის ყუვეგარეგული კონფლიქტი კავკასიაში ყველაზე საკლებად საშიშროების შემთხვევაა, რიგითი მოსახლეობის განცხადებით, რიგითი მოსახლეობის მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა საქართველოს მთავრობასა და მის გეგმებს უნდობლობით უყურებს. თებერვლის დასაწყისში ადგილობრივი მოსახლეობის შემფრთხივა ქართული პოლიციის მიერ ცხინვალის მახლობლად საკონტროლო პუნქტების გახსნამ და ოსური სოფლებისთვის განკუთვნილი პრიოდუქტის დაკავება გამოიწვია. ამ სოფლებების მკედრთა თქმით, პოლიცია

პურით დატვირთულ მანქანებსაც კი არ უშვებდა. თუმცა, ქართული მხარე ამ ბრალდებებს უარყოფს. 60 წლის ალექსანდრე ადრე ცნობილი მწერთელი იყო, ამჟამად კი სახლის მახლობლად მდებარე ბაღში ბოსტნული მოჰყავს. მისი ნათესავების განცხადებით, ეს უფრო „დებუქსიის დამღვევის მეოთხეა“, ვიდრე ოჯახის რჩენის საშუალება. 2006 წელს 15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთი საქართველოს მეამდგომლობიდან ფაქტობრივად გამოვიდა. 1991 წელს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საქართველოდან გამოყოფის (ცალმრივ გადაწყვეტილება) სახმედრო მეტაკებები მოჰყვა. ამ მეტაკებების შედეგად 2 ათასამდე ადამიანი დაიღუპა, ათი ათასობით კი დევნილი გახდა. უმუშევრობა, ტრაგიკული შთაბეჭდილებები 90-იანი წლების ომზე, თითქმის ყველა ოჯახში ამ ომის მსხვერპლი და სამხედრო დაპირისპირების განახლების შიში ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური რეალობაა. როგორც ხელი-სუფლების წარმომადგენლები, ასევე რიგითი მოსახლეობა აცხადებს, რომ საკუთარი თავის დასაცავად მუდმივად მზად არიან.

„პირადად ჩემთვის მშვიდობიანად ცხოვრება დამოუკიდებელ, თუნდც არაღიარებულ სახელმწიფოში მისაღები იქნებოდა. მაგრამ თუ საჭირო გახდება, იარაღს ხელში ისევ ავიღებ. ჩვენმა პრეზიდენტმაც რომ ამიკრძალოს, არ დავემორჩილები“, – ამბობს ცხინვალის მკვიდრი ვლადიმერი, 30 წლის. ასობით სხვა ადგილობრივ მცხოვრებთან ერთად, ვლადიმერმა 2004 წლის ზაფხულში მოხალისე ჯგუფების მიერ სახელდახლოდ შექმნილ საკონტროლო პუნქტებზე გაატარა. ფორმა და იარაღი, რომელიც საკუთარი სახსრებით შეიძინა, სახლში გაშვადებული უდევს. ბევრი ადგილობრივის განცხადებით, 2004 წლის დაძაბულმა ზაფხულმა მათ საკართველოს ხელისუფლებაში „ვიარდების რევილუციის“ შედეგად მოსულ ახალ ლიდერებზე დამყარებული იმედები გაუტყრა. საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ ანტიკონტრაბანდული კამპანიის ფარგლებში კონფლიქტის ზონაში მდებარე ერგნეთის ბაზრობის დახურვა განიზა-ხა, სადაც ქართველები და ოსები ერთად გაჭირობდნენ. მოგვიანებით, რეიდები შეიარაღებულ შეტაკებებში გადაიზარდა, რის შედეგადაც რამდენიმე კვირის განმავლობაში ორივე მხრდან 40 ადამიანი დაიღუპა.

ადამიანის უფლებების დამცველ ლირა ცხოვრებოვას ცხინვალი ომის ყველაზე რთულ წლებშიც კი არ დაუტოვებია. „როცა მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი გახდა, მის გამოსვლებს ყურადღებით ვესმენდი. იგი ამბობდა, რომ ოსები მისი მხრით არიან. თუმცა, 2004 წლის ზაფხულში სროლების შემდეგ მისი აღარ მჯერა“, – დასძინა ცხოვრებოვამ. ჯერჯერობით, ცხინვალში სიმშვიდეა, მაგრამ კონფლიქტის ზონის მახლობლად მდებარე რაიონებში დაძაბულობამ იმატა. 3 თებერვალს, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ენო მერაბიშვილმა განაცხადა, რომ საქართველოს კონტროლობაზედ ტერიტორიაზე „იკლავს“ ტიპის საზენიტო დანადგარი აღმოაჩინეს. მერაბიშვილის თქმით, დანადგარი სამხრეთ ოსეთიდან ჩამოიტანეს და მისი საშუალებით იმ ვერტმფრენის ჩამოგდება იყო განზრახული, რომლითაც პრეზიდენტი სააკაშვილი გადაადგილდებოდა. 8 თებერვალს საქართველოს პოლიციამ ათი რუსი ოფიცერი დააკავა, რომლებსაც საქართველოს ვიზეტი არ აღმოაჩნდათ. ამ ფაქტის გახმაურებისთანავე ცხინვალის ხელისუფლებამ თბილისის კონფლიქტის ზონაში 250 რიგითი ჯარისკაცის დისლოცირებაში დასდო ბრალი. საქართველოს ხელისუფლებამ ბრალდება კატეგორიულად უარყო. სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების შეცვლის შესახებ საქართველოს პარლამენტის 15 თებერვლის რეზოლუციამ არაღიარებული რესპუბლიკის მცხოვრებთა გაღიზიანება გამოიწვია. „ვერც კი წარმომდგენია, რომ რუსეთის ჯარი აქედან გავა და მათ ადგილს ევროპელები ამ ამერიკელები დაიკავებენ. რუსები ქართველებთან და ოსებთან ჯერ კიდევ ყველაზე ახლოს რჩებიან. რუსი ჯარისკაცები ბევრს ფიქრობენ, სახანმ ნე-ისმიერი მიმართულებით გაიყვანა. ამერიკელები კი, არა ურავის, არამედ მისი მოსახლეობის წინააღმდეგ იბრძვიან“, – განაცხადა ცხოვრებოვამ. ყოფილმა მასწავლებელმა, ამჟამად პენსიონერმა მარინა შახბაოვამ ომში შეულოდ დაკარგა და ახლა სამ შვილთან ერთად ცხოვრობს. ომის დაწყების მასაც უჩივია. „რამდენიმე ხნის წინ, ერთ-ერთ ქართულ ტელეარხებს უყურებს და შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით დებატებსაც ისმენს, მაგრამ ამ მათში მოინანილებობას ვერ ახერხებს. საქართველოს მთავრობას თავისი სამშვიდობო გეგმა არასდროს წარუდგენია სამხრეთ ოსეთისთვის, რომლის მოსახლეობას ისეთი გრძნობა უნდავს, თითქმის სადალად, პარალელურ სამყაროში ცხოვრობს.

www.iwpr.net

ოსკარი 78

"ოსკარი" 78-ედ

საუკეთესო ფილმი:
"დაპრისპირება"
 (ნომინანტები: "კუზიანი მთა"; "ღამე მშვიდობისა და წარმატებებს გისურვებთ"; "მიუნხენი"; "კაპოტე").

საუკეთესო რაიონორი:
ენგ ლი - "კუზიანი მთა"
 (ნომინანტები: სტივენ სპილბერგი, "მიუნხენი"; პოლ პეგისი, "დაპრისპირება"; ბენეტ მილერი, "კაპოტე"; ჯორჯ კლუნი, "ღამე მშვიდობისა და წარმატებებს გისურვებთ").

საუკეთესო მსახიობი მამაკაცი:
ფილიპ სიმორ პოფმანი - "კაპოტე"
 (ნომინანტები: დევიდ სთრუთჰერნი, "ღამე მშვიდობისა და წარმატებებს გისურვებთ"; პით ლუვჯერი, "კუზიანი მთა"; ზოაკინ ფენიქსი, "Walk the Line"; ტერენს ჰოვარდი - Hustle and Flow).

საუკეთესო მსახიობი ქალი:
რიზ უითერსპუნი - Walk the Line
 (ნომინანტები: ჯუდი დენჩი, "მისის პენდერსონი წარმოგიდგენთ", ფულისი ჰაფმანი, "ტრანსაპირეკა"; მარლო თერონი, "წრდილოეთის ქვეყანა"; ქეირა ნათლი, "სიამავე და ცრურწმენა").

საუკეთესო მორეჟისორი:
